

ფსიქოსომატიზაცია, როგორც ფსიქოტრავმის ენა

მაკა ისაკაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაკა ისაკაძე

ხელმოწერა:

თარიღი:

აბსტრაქტი

წარმოდგენილი კვლევის მიზანია კავშირების დადგენა ტრავმულ მოვლენასა და სხეულში აღმოცენებულ ფუნქციურ, ეგრეთწოდებულ სომატოფორმულ, და ორგანულ დარღვევებს შორის; და, ასევე, ფსიქოკორექციული ჩარევის ეფექტურობის შესწავლა აღნიშნულ შემთხვევებში. აღნიშნული კვლევის განსახორციელებლად შეირჩა კვლევის თვისებრივი მეთოდი - შესწავლილი იქნა ტრავმირებულ პაციენტთა სამედიცინო ბარათები და ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები პროფესიონალებთან. პაციენტთა სამედიცინო ბარათების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ტრავმული გამოცდილება/ექსპოზიცია და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა ხშირად სომატიზაციის გამომწვევი მიზეზია; დადასტურდა მაღალი კორელაცია ვეგეტატიური დისფუნქციებთან; იდენტიფიცირდა ასოციაციები ტრავმის სახეობასა და სომატური სიმპტომების ხასიათთან, მაგ.: ომისა და ლტოლვილობის ტრავმა უხშირესად კარდიოვასკულური და გასტროინტესტინალური სიმპტომატიკით იჩენს თავს და უფრო ნაკლებად რესპირატორული, ენდოკრინოლოგიური და დერმატოლოგიური სიმპტომებით. პოსტტრავმული სტრესული აშლილობა ხშირად ვლინდება ტკივილის ფენომენით და უხშირესად პატიმრობის ტრავმასთან ასოცირდა. სომატურ სიმპტომთა გამწვავება ტრიგერთან ან ახალ სტრესთანაა კავშირში. გამოვლინდა სტრესზე ორგანულ პათოლოგიათა ელვისებური განვითარებაც. დაფიქსირდა ტრავმული აგენტის სპეციფიურობის როლი გამოვლენილ სომატურ სიმპტომთა ხასიათში. განხილულ შემთხვევებში ინტერვენციის ეფექტურობა დასტურდება და ამასთან რაც უფრო დროულია ჩარევა, მით უფრო წარმატებულია იგი. წარმოდგენილი კვლევა დაეხმარება ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მუშაკებს ცოდნის ამაღლებაში ფსიქოტრავმატოლოგიასა და ფსიქოსომატიკაში, რაც ხელს შეუწყობს პაციენტთა დროულ რეფერირებას შესაბამის დაწესებულებებში და ასეთ პაციენტებში პოსტტრავმული სტრესული აშლილობისა და სომატიზაციის სიმპტომების მართვას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: PTSD, სომატიზაცია, სომატოფორმული აშლილობა.

Abstract

The present study aims to identify a connection and a correlation between traumatic event and functional, so called somatoform, and organic bodily disorders. The research also studies the effectiveness of psychological interventions in such cases. The research is qualitative – we have studied medical files of the patients and conducted in-depth interviews with professionals. Study of the patient’s medical files shows that traumatic experience / exposure and post-traumatic stress disorder often cause somatization; it is confirmed that there is a high correlation between psychotrauma and vegetative dysfunction; there are associations between types of trauma and characteristics of somatic symptoms, e. g. war-related and internal displacement trauma is mostly related to cardiovascular and gastrointestinal symptoms, less commonly respiratory, endocrinological and dermatological symptoms. Post-traumatic stress disorder is often associated with pain phenomenon, due to detention-related trauma. Acute somatic symptoms are connected to triggers or new stress. We have identified immediate development of organic pathologies due to stress, and determined the role of specific traumatic agents in the nature of somatic symptoms. Based on the analysed cases, we have confirmed the effectiveness of applied interventions, and concluded that more timely was the intervention, the more successful it was. The present study would contribute to the knowledge of the physical and mental health workers in the field of psychotraumatology and psychosomatics, that would help timely referral of patients to respective services and the proper management of their post-traumatic stress disorder and somatization symptoms.

Key words: PTSD, somatization, somatoform disorder.

მადლობა

უპირველეს ყოვლისა მსურს მადლობა გადავუხადო კვლევის ხელმძღვანელს ქალბატონ ნინო მახაშვილს გაწეული დახმარებისთვის. აგრეთვე მადლობას ვუხდის წამების მსხვერპლთა სამედიცინო და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრის ხელმძღვანელობას და მთელ კოლექტივს კვლევისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისთვის. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ ნინო კილაძეს კვლევის განხორციელებაში არსებითი წლილის შეტანისათვის.